


ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-25 29.05.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების
წესები და პროცედურები

ნდ №2-020101-29

ბათუმი
2023

პრეამბულა

1. წინამდებარე ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესები და პროცედურები ბნსუ-ს ნორმატიული დოკუმენტია;
2. წინამდებარე დოკუმენტი:
 1. შემუშავებულია სამედიცინო პუნქტის მიერ;
 2. დამტკიცებულია რექტორის მიერ;
 3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. წინამდებარე ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესებსა და პროცედურებში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა დოკუმენტი;

ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
ხს	ხარისხის სისტემა;
სტს	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
ნორმატიული დოკუმენტი	დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
თანამდებობრივი ინსტრუქცია	შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
სტრუქტურული ერთეულის დებულება	შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;
საგანმანათლებლო პროგრამა	საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
უსდ/სდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
ბნსუ/ სასწავლო უნივერსიტეტი/ დაწესებულება	შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) მიერ და განსაზღვრავს ბნსუ-ში ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმადელი დახმარების წესებსა და პროცედურებს, რაც აუცილებელია სტიქიური უღებდურების, ხანძრის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს ადამიანების გადაუდებელი დახმარების, გადამდები დაავადებების პრევენციის ან მათზე რეაგირების დროს მოქმედებების, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით;
- 1.2 ამ დოკუმენტით დადგენილ პროცედურების კოორდინაციას უწევს ბნსუ-ს ექიმი;
- 1.3 ამ დოკუმენტის მიზნებისათვის ტერმინი „პერსონალი“ გულისხმობს ბნსუ-ს აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამების განხორციელებაში ჩართულ სხვა პერსონალს;

მუხლი 2. ადამიანთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ბნსუ-ში ადამიანთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფისას დაცვის სპეციალისტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და მიაწოდოს ინფორმაცია:
- ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს, ხოლო ადამიანთა სიცოცხლის და/ან ჯანმრთელობის მასობრივი ხელყოფის შემთხვევაში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს;
 - ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;
 - გ) დაზარალებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს;
 - დ) დაზარალებული სასწავლო კურსების განმახორციელებლების/პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ოჯახის წევრებს.
2. დაზარალებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე ბნსუ-ს ექიმი უზრუნველყოფს დაშავებულისათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას;
3. ბნსუ-ში ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისას ბნსუ-ს ყველა სტრუქტურული/საშტატო ერთეული ვალდებულია დაეხმაროს საგამომიებო ორგანოებს საგამომიებო მოქმედებების ჩატარებაში.

მუხლი 3. გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

- 3.1. ბნსუ-ში გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ბნსუ-ს ჰყავს ექიმი;
- 3.2 ბნსუ-ში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო სამედიცინო საშუალებებით;
- 3.3. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:
- დროულად მოუხმოს ბნსუ-ს ექიმს;
 - შეატყობინოს დაცვის სპეციალისტს;
 - არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა სახიფათოა.
 - აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრთან დაკავშირებით გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვა.

მუხლი 4. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მომსახურების წესი

- 4.1. ბნსუ უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რომ მათ სხვა პირებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი მომსახურების მიღება;
- 4.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შენობაში დაშვებისა და ბნსუ-ს მომსახურებით სარგებლობისათვის ბნსუ უზრუნველყოფს შენობაში შემდეგი ინფრასტრუქტურისა და სერვისების არსებობას:
- ა. შენობის შესასვლელში, ყველა სართულსა და ჩასასვლელში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილი სავარძლისთვის სპეციალური ასასვლელი (პანდუსი)/ლიფტი;
 - ბ. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის არსებობს ადაპტირებული სველი წერტილები;
 - გ. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის არსებობს მოსასვენებელი სივრცე;

- დ. აუდიტორიების შესასვლელი კარები მოწყობილია ისე, რომ ეტლით მოსიარულე პირებმა დახმარების გარეშე შეძლოს გადაადგილება;
- ე. ბნსუ-ს დაცვის სპეციალისტები და ექიმი ვალდებული არიან შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს აღმოუჩინონ ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას ბნსუ-ს შენობაში.

მუხლი 5. ბნსუ-ს ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების მართვის პროცედურები

- 5.1. ბნსუ-ს ტერიტორიაზე პერსონალისა და სტუდენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვა იწყება ამ პირების მიერ ბნსუ-სთან ურთიერთობის ფორმალიზების მომენტიდან;
- 5.2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მიღებისას ერთ-ერთი წარმოსადგენი დოკუმენტია ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100);
- 5.3. პერსონალი ვალდებულია 3 წელიწადში ერთხელ წარმოადგინოს განახლებული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100), გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეიცვალა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასეთი გარემოების დადგომისას ბნსუ-ს პერსონალი და სტუდენტები/პროფესიული სტუდენტები ვალდებული არიან ბნსუ-ში გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ განახლებული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100);
- 5.4. ბნსუ ახდენს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების დამუშავებას, აღრიცხვას და მათი მიკვლევადობის უზრუნველყოფას;
- 5.5 ამ მუხლის 5.3 პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტები ინახება დოკუმენტის მფლობლის ბნსუ-ში ყოფნის მთელი პერიოდისათვის, ხოლო შემდეგ მისი განკარგვა ხდება კანონმდებლობით დაგენილი წესით;
- 5.6 ამ მუხლის 5.3 პუნქტის მიხედვით, ცნობის წარმოდგენის მიზანია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში, პირველადი გადაუდებელი დახმარების სწორად განხორციელება ან უფლებამოსილი პირისათვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს პირის სიცოცხლის გადარჩენას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- 5.7. ბნსუ-ს ექიმი ახორციელებს პირთა მომართვიანობას აღრიცხვას, რისთვისაც იყენებს „მომართვებისა და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალს“ დანართი N1-ის შესაბამისად;
- 5.8. ბნსუ-ს ექიმი და დაცვის სპეციალტები ვალდებული არიან დაიცვას პირის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობისა და ბნსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 6. ექიმადელი დახმარების წესი

- 6.1 ბნსუ-ს სამედიცინო კაბინეტში არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობა და სამკურნალო საშუალებები;
- 6.2 გადაუდებელი შემთხვევის დროს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ბრიგადის გამოძახებისა და მშობლების ინფორმირების უზრუნველყოფა ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კანცლერის მოვალეობაა;
- 6.3 სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე ბნსუ-ს ექიმი უზრუნველყოფს ექიმადელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას;
- 6.4 კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული და ხელმისაწვდომია პირველი დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი.

მუხლი 7. ბნსუ-ს სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესი

- 7.1 ბნსუ-ს სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით;
- 7.2 ბნსუ-ს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობაში შედის:
 - მაგიდა;
 - ტახტი;
 - სააფთიაქო კარადა;
 - სამედიცინო სასწორი ;
 - სიმალლის საზომი;
 - ხელის დინამომეტრი;
 - თერმომეტრი;
 - ტონომეტრი;

- ფონენდოსკოპი;
- გამადიდებელი ლუპა;
- რეზინის ლახტი;
- რეზინის სათბური;
- ბუშტი ყინულისათვის;
- სამედიცინო მაკრატელი;
- პინცეტი;
- ნილაბი „პირით-პირში“ სუნთქვისთვის;
- საკაცე;
- მაცივარი;
- ლახტი;
- არტაშანი.

7.2 ბნსუ-ს სამედიცინო კაბინეტში ანტიეპტიკურ და შესახვევ საშუალებებში შედის:

- თვალის ამოსარეცხი ხსნარი;
- სამედიცინო სპირტი (96%-იანი);
- წყალბადის ზეჟანგი (3% ხსნარი);
- ბრილიანტის მწვანე (1%-იანი ან 2%-იანი სპირტხსნარი);
- იოდი (5%-იანი სპირტხსნარი);
- ბეტადინის ხსნარი ჭრილობის დასამუშავებლად;
- სხვადასხვა ზომის სტერილური საფენები;
- ბაქტერიოციდული პლასტირები ჭრილობებისთვის;
- ჰიგროსკოპული ბამბა;
- ბინტები/სამედიცინო გადასახვევი მასალა;
- ერთჯერადი შპადელები;
- ერთჯერადი ხელთათმანები (არასტერილური).

მუხლი 8. ბნსუ-ს საკურნალო საშუალებებისა და ინვენტარის მართვს პროცედურა

8.1 ბნსუ-ს ექიმი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე წარმოადგენს მოთხოვნას, ბნსუ-ს სამედიცინო კაბინეტის სამკურნალო საშუალებებით მომარაგების მიზნით დანართი №2-ის შესაბამისად;

8.2 ბნსუ-ს ექიმს ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით მოთხოვნილი ინვენტარი გადაეცემა მიღება-ჩაბარების აქტით დანართი №3-ის შესაბამისად;

8.3 ბნსუ-ს ექიმი ვალდებულია განახორციელოს ბნსუ-ს სამკურნალო საშუალებების ვარგისიანობის კონტროლი;

8.4 წელიწადში ერთხელ ბნსუ-ს ექიმი ახორციელებს სამედიცინო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების ჩამოწერას დანართი №4-ის შესაბამისად.



მფ-2-№01-26-29.05.2023

დანართი №1

მომართვებისა და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი

ჩანაწერის №	თარიღი	გვარი, სახელი	ჩვილები/ინციდენტები	გატარებული ღონისძიებები	გამოყენებული სამკურნალო საშუალებები	ექიმის/მედიკოსის ხელმოწერა



მფ-2-№02-26-29.05.2023

დანართი №2

სამედიცინო და სამკურნალო საშუალებების
მოთხოვნის ფორმა

ქ. ბათუმი

----- 20----- წელი

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და ვიზიტორების პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, საჭიროა შემდეგი სამედიცინო და სამკურნალო საშუალებები:

№	სამედიცინო და სამკურნალო საშუალებების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			



8.			
9.			
10.			
11.			
12.			
13.			
14.			
15.			
16.			
17.			

ექიმი ----- (გვარი, სახელი)
ხელმოწერა

თარიღი: „-----“ „-----“ 20----

მფ-2-№03-26-29.05.2023

დანართი №3

**სამედიცინო და სამკურნალო საშუალებების
მიღება-ჩაბარების აქტი**

ქ. ბათუმის

----- 2022 წელი

ერთის მხრივ, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - ბნსუ), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერის, ლალი ხვედელიძის სახით და მეორეს მხრივ ბნსუ-ს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და ვიზიტორების პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი (შემდგომში - ექიმი) ----- (პ/ნ -----), ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კანცლერი ექიმს გადასცემს შემდეგ სამედიცინო და სამკურნალო საშუალებებს:

№	სამედიცინო და სამკურნალო საშუალებების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	მოქმედების ვადა
2.				
3.				



4.				
5.				
6.				
7.				
8.				
9.				
10.				
11.				
12.				
13.				

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რაზეც ვაწერთ ხელს:

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის

ექიმი

ხელმოწერა

ხელმოწერა

მფ-2-№04-26-29.05.2023

დანართი №4

**ვადაგასული და გაუვარგისებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერის
აქტი №**

ქ. ბათუმი

----- 2022 წელი

პერსონალმა, შემადგენლობით შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი, ლალი ხვედელიძე, ბნსუ-ს სტეფენტების, პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და ვიზიტორების პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი - ----- (პ/ნ-----), სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი, -----, განვახორციელეთ 20----- წლის ----- მდგომარეობით ვადაგასული და გაუვარგისებული სამკურნალო საშუალებების აღწერა, სახეზე აღმოჩნდა

№	ჩამოწერს დაქვემდებარებული სამედიცინო და სამკურნალო საშუალებების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	გამომწვევის თარიღი	მოქმედების ვადა
2.					



3.					
4.					
5.					

ჩამოწერას დაქვემდებარებული სამედიცინო და სამკურნალო საშუალებები გადაეცეს ექიმს და განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დირექტორი

(გვარი, სახელი)

ხელმოწერა

ექიმი

(გვარი, სახელი)

ხელმოწერა

სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი

(გვარი, სახელი)

ხელმოწერა

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი